

## ტრადიციები და მიღწევები

სკოლა დაარსების დღიდან ორიენტირებულია განათლებულ, დისციპლინირებულ, შემოქმედებითად აქტიურ მოსწავლეთა აღზრდაზე; მოსწავლე – მასწავლებლის ფუნქციათა ორგანიზებული გადანაწილება იდეალურ სასწავლო გარემოს ქმნის.

სკოლა წლების განმავლობაში აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, კონკურსებში, ოლიმპიადებში, პროექტებში, კონფერენციებში. სკოლა „აპოდიქსის“ მოსწავლე – მასწავლებელთა სახელზეა უამრავი წარმატება.

## ტრადიციები და მიღწევები

სკოლა დაარსების დღიდან ორიენტირებულია განათლებულ, დისციპლინირებულ, შემოქმედებითად აქტიურ მოსწავლეთა აღზრდაზე; მოსწავლე – მასწავლებლის ფუნქციათა ორგანიზებული გადანაწილება იდეალურ სასწავლო გარემოს ქმნის.

- სკოლა აქტიურად ერთვება სასწავლო შემოქმედებით კონკურსებში, პროექტებში, ოლიმპიადებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში. სკოლა „აპოდიქსის“ მოსწავლე – მასწავლებელთა სახელზეა უამრავი სიგელი და დიპლომი.
- სკოლაში წლებია დაინერგა მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამა მეგობარ სკოლასთან.
- „გავუფრთხილდეთ ბუნებას“ – მოსწავლეები და მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულები ბუნების დაცვა – გაფრთხილებაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა – მოწყობაში, რგავენ ახალ ნერგებს რაიონის ნაკლებადგამწვანებულ ზონებში.
- „მადლის დღე“ – ყოველთვიურად, სკოლა შემოწირულობებით, ქველმოქმედების სახით დახმარებას უწევს ბავშვთა და ინვალიდთა სახლებს, ხელმოკლე ოჯახებს; იმართება დისკუსიები სხვადასხვა თემებზე, რაშიც მეგობარი სკოლებიც იღებენ მონაწილეობას; ეწყობა პოეზიის საღამოები, ლიტერატურული კაფე – საღამოები.
- ახალი წლის მოახლოებისას, სკოლის ტრადიციაა – პროპაგანდა გაუწიოს ხელოვნურ ან ნაძვის უვარგისი ტოტებით შექმნილ ნაძვისხეებს, ამის შესანიშნავ მოდელს სკოლა ყოველწლიურად წარადგენს საახალწლო ნაძვის სახით, წლებია ეს ტრადიცია, მოსწავლე – მასწავლებელთა ბევრ ოჯახშიც დაინერგა; მოსწავლეები ყოველწლიურად ცდილობენ შეახსენონ თანამოქალაქეებს ცოცხალი ნაძვის მოჭრის საშიშროება – ბუკლეტების, ნამუშევრების, ღონისძიებების სახით.
- სეზონურად, ყოველთვის იმართება მამულები ღონისძიებები, პარკში, სკოლაში. მაგ.: „ყვავილების მეჯლისი“, „სილამაზის კონკურსი“, მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა – გაყიდვა, „სიყვარულის დღე“, „შემოდგომის ფერები“ და ა.შ.
- აქტიურად იმართება მხიარული სტარტები – შიდა სასკოლო და სკოლებშორის სპორტული შეჯიბრებები; დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას.
- „ხშირად ეწყობა შემეცნებითი ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ცნობილ ადამიანთა სახლ- მუზეუმებში, ეკლესია – მონასტრებში და ა.შ.
- ეწყობა კოსტუმირებული თეატრალური წარმოდგენები.
- სკოლაში წლებია არსებობს ინტელექტ – კლუბი, რომელიც ორგანიზებას უწევს სხვადასხვა ტიპის ინტელექტუალურ ღონისძიებებს: „ყველაზეჭკვიანი“, „მოაზროვნე“, რა? სად? როდის? „ეტალონი“, „წლის ყველაზე ინტელექტუალური კლასი“, ინტელექტ – ტესტები, სკოლებშორის შეჯიბრებები, „ერუდიქსი“ და ა.შ. გამარჯვებული მოსწავლეები ჯილდოვდებიან სიგელებით, დიპლომებით, სამეცნიერო ლიტერატურით, ფასიანი საჩუქრებით, თავისუფლდებიან ერთთვიანი ან ერთწლიანი სასკოლო გადასახადისაგან.

სკოლა წლების განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, კონკურსებში, ოლიმპიადებში და ა.შ.

2009 – 2011 სასწავლო წლების კონკურსებში მონაწილეობის შედეგები:

## პროგრამებში და პროექტებში მონაწილეობა

### 1. სასკოლო და საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობა

- სასკოლო ოლიმპიადის პირველ ტურში მონაწილეობდა - 48; მეორე ტურში გადავიდა - 3
- ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეების რაოდენობა საგნების მიხედვით - 3 (ბიოლოგია, გეოგრაფია, ისტორია)

### 2. კონფერენციებში, კონკურსებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა კონფერენცია

- მოსწავლეთა 64-ე სასწავლო- შემოქმედებითი კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო - 24 -მა მოსწავლემ.
- გამარჯვებულები: I ხარისხი - 3 ნათია გოგოლი - ბავშვთა უფლებები,

მარიამ სოსელია - სამართალმცოდნეობა, დავით მამულია - საქართველოს ისტორია; II ხარისხი - 15; სიგელი - 6

## კონკურსები:

1. 2009 2010 სასწავლო წელს სკოლა ლიცეუმი „სხივი“-ს მიერ გამოცხადებული ოლიმპიადა მათემატიკაში
2. თბზულებებისა და ნახატების კონკურსი „ჩემი თვალთ დანახული რუსული აგრესია“
3. ნორჩ მხატვარ-დიზაინერთა რესპუბლიკური კონკურსი „ფრენა მზესთან ერთად“
4. ბავშვთა და მოზარდთა სახვითი ხელოვნების გამოფენა „ჩემი სახლი“

## შიდა სასკოლო კონკურსი

1. თბზულებებისა და ნახატების კონკურსი „ჩემი თვალთ დანახული რუსული აგრესია“ გამოვლინდა - თბზულებებში - ბექა გვარამია (X კლასი), ნათია გოგოლი (X კლასი)  
გამოვლინდა ნახატებში - ანა ოყუჯავა (V კლასი), ვერონიკა გუნია (V კლასი)
2. ნორჩ მხატვარ-დიზაინერთა რესპუბლიკური კონკურსი „ფრენა მზესთან ერთად“ გამოვლინდა - ვერონიკა გუნია (V კლ.), ანა ოყუჯავა (V კლ.)
3. მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნახატების გამოფენა-გაყიდვა შემოწირული თანხით შესყიდულ იქნა ხატები და გადაეცა სენაკის წმიდა იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძარს, მენჯის ალექსი ბერი (შუშანიას) წმიდა სავანეს და ქეთევან წამებულის სახელობის ეკლესიას
4. ინტელექტუალური კონკურსი სკოლა „აპოდიქსი“-ს წლის „მოაზროვნის“ გამოსავლენად (გამარჯვებული გათავისუფლდა ერთი წლის სწავლის გადასახადისაგან) გამოვლინდა -ზურაბ ქარდავა (VIII კლ.)
5. ინტელექტუალური კონკურსი სკოლა აპოდიქსი“-ს „ყველაზე ჭკვიანის“ გამოსავლენად გამოვლინდა -ავთანდილ ბერაია (VI კლ.) გადაეცა სიგელი და ფასიანი საჩუქარი
6. „ერუდიქსი“ - ინტელექტუალური შეჯიბრი (VIII-XII კლასებში)  
გამოვლინდა გამარჯვებული XI კლასის მოსწავლე მიხეილ კირცხალია, დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრითა და შემეცნებითი ლიტერატურით
7. „ერუდიქსი“ - ინტელექტუალური შეჯიბრი (VIII-XII კლასებში) გამოვლინდა გამარჯვებული XII კლასის მოსწავლე დავით მამულია
8. ინტეგრირებული გაკვეთილი - „დავიცვათ ფლორა და ფაუნა“ (IV კლ.)
9. ინტეგრირებული გაკვეთილი - „თუ დედაენით არ ხარ გაზრდილი“ (I- IV კლასი)
10. შემოქმედებითი კონკურსი - სასკოლო გაზეთში - „აპოდიქსი“ გამოქვეყნდა გამარჯვებული მოსწავლეების ლექსები (VI-XII კლასები)
11. დავიცვათ ბუნება - „დედამიწა ჩვენი სახლია“ (IX კლასი)

12. დავეუფლოთ გერმანულ ენას (X-XI კლასი)
13. ლიტერატურული სადამო - პოეზია უპირველეს ყოვლისა (VIII-XI კლასი)  
გამოვლინდა გამარჯვებული - XI კლასის მოსწავლე მიხეილ კირცხალია
14. დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - „დედის თვალები“ - (VI კლასი)
15. ტრაგიკული 9 აპრილი - (VI კლასი)
16. დისკუსია - „საიდან მოდის სილამაზე“ დისკუსიის საგანი - გ. ლეონიძის „მარიტა“ (VII-VIII კლასები)
17. ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი ( I-XII კლასები)
18. დისკუტი - სიყვარულის დღისადმი მიძღვნილი - „რა არის ბედნიერება“ (VII-VIII კლასი)
19. ვაჟა-ფშაველას 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 24-28 ოქტომბერი, 2011 წელი
20. საშემოდგომო ღონისძიებები დაწყებით კლასებში
21. საახალწლო ღონისძიებები 1-დან 12 კლასის ჩათვლით
22. ინტეგრირებული გაკვეთილები

### *სხვა ღონისძიებები*

1. ამერიკის საელჩოს დაფინანსებით მედიის განვითარების ფონდის მიერ ორგანიზებული კონკურსი „ცხოვრება ომის შემდეგ“  
გამოვლინდა გამარჯვებულები: ნანა ოყუჯავა (V კლ.) და მერაბ ნაროუშვილი (IV კლ.)
2. წიგნის - „ცხოვრება ომის შემდეგ“ პრეზენტაცია, რომელიც ჩატარდა ამერიკის საელჩოს დაფინანსებით და მედიის განვითარების ფონდის ორგანიზებით წიგნში შევიდა გამარჯვებული მოსწავლეების ნანა ოყუჯავას (V კლ.) და მერაბ ნაროუშვილის (IV კლ.) ნამუშევრები
3. ნახატების კონკურსი თემაზე - „მე და ბუნება „ - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ორგანიზებით  
კონკურსის მონაწილეები: სალომე სასანია (VI კლ.) და ვერონიკა გუნია (V კლ.)

საერთაშორისო ან ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტები:

1. ალიანტე 2010 - „ახალი თაობა - ახალი ინიციატივა“
2. ამერიკის საელჩოს მიერ გამოცხადებული კონკურსი - მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა (FLEX) მეორე ტურში გადავიდა ცოტნე გაბელია (10 კლ.)

### *სპორტული მიღწევები*

1. მხიარული სტარტები კლასებს შორის
  2. შ. პ. ს. ქ.სენაკის სკოლა „აპოდიქსსა“ და ხობის სკოლა „არეა“-ს შორის საფეხბურთო ტურნირი  
უმადლეს სასწავლებლებში ჩარიცხულთა სტატისტიკა 2009 – 2010 სასწ.წ.
    - ატესტატი აიღო კურსდამთავრებულმა - 5
  - შენიშვნა : ექსტერნატის გამოცდა ჩააბარა მიხეილ კირცხალიამ და აიღო ატესტატი
    - დარეგისტრირებული აბიტურიენტებიდან ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში - 5
  - უმადლეს სასწავლებლებში ჩარიცხულთა სტატისტიკა 2010 – 2011 სასწ.წ.
    - ატესტატი აიღო 11-მა კურსდამთავრებულმა;
- ექსტერნად ჩააბარა სამმა მოსწავლემ (ნათია გოგოლი, ირინე ჯიჯელავა, თემურ შულაია);  
თერთმეტივე კურსდამთავრებული ჩაირიცხა შერჩეულ უმაღლეს სასწავლებლებში.